№ 54 მარტი 12, სამშაბათი 1891 მარტი 12, სამშაბათი № 54

გაზეთი ღირს

| თუჱე | მან. კ. | თუჱე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

აქსენტი ანტონის ძე ცაგარელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა, სალომე ცაგარლისას. განსვენებული დასაფლავებულ იქმნება დღეს, 12 მარტს, დაბა ქიურდამირში. (1—1)

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობისაგან.

ვინაიდგან ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდგან სესხის გატანის მსურველნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე კერძო შუამავალთ, რომ გვირჩიეთ და დაგვეხმარეთ, როგორ და რა გზით უნდა გავიტანოთ სესხიო, რისთვისაც, რასაკვირველია, სასყიდელსაც იხდიან, ამიტომ ზემოხსენებულ ბანკის მმართველობა აცხადებს და სთხოვს სესხის გატანის მსურველთ პირ-და-პირ ბანკის მმართველობას მიჰმართონ სამშრო რჩევისა და ცნობების მისაღებად და ამით თავიდგან აიცილონ ყოველივე ის ხარჯი, რომელსაც შუამავალთა შრომისათვის იხდიან. საზოგადოდ სასურველია, რომ ბანკთან საქმის დაჭერას მოწადინებულთ თვით ბანკთანვე იქონიონ პირ-და-პირ დამოკიდებულება და მოლაპარაკება. (3—3)

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრი

სამშაბათს, 12 მარტს ანნა ქუდიკის სამეორე დებიუტად წარმოდგენილი იქნება

## ლილი

კომედია-ოპერეტი 3 მოქმედ., თხზ. ჰანეკინისა და მიიოსისა, მუსიკა ჰერვესი. ლილის როლს წარმოადგენს ანნა ქუდიკი.

დასაწყისი 8 საათზედ

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, 10 მარტს, დაასაფლავეს დიდუბის ეკლესიის გალავანში განსვენებული მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე სამღვდელოთა კრებულითურთ. ნაშუადღევის პირველ საათზე გათავდა ანდერძის აგება. საფლავზე სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა კ. დ-ძემ ყიფიანმა. მოგვყავს აქვე ეს სიტყვა:

„ძმაო და მეგობარო! კიდევ შეგვყარე საგლოველად. ჯერ არ შეგვშრობია გუშინდელი ცრემლი და კიდევ გაგვიახლე წყლული. ჯერ კიდევ მოიმედე ვიყავით შენის მედგარის სულის სიმტკიცისა, რომ შენი მოღვაწეობის ნაყოფი კიდევ გვენახა, და დღეს აქ უსულო გვამს უნდა დავტიროდეთ. არ დაგინდო დაუნდობელმა სიკვდილმა ჯერ ისევ მძლიერი ღონითა. შენი მშვიდი, წყნარი, ბეჯითი მუშაკობა და ჭკვიანი მოსაქმეობა შესწყდა, მოაკლდა ჩვენ მხარეს ერთი გულ-შემატკივარი მზრუნველი. შენ შენი მოღვაწეობითა სწავლობდი და გვასწავლიდი, როდესაც ჩვენ ცხოვრებას დასტრიალებდი და მის ბედს დაჰყურებდი. რაც უნდა ასპარეზი ყოფილიყო გონებითის წარმატებისა, მწერლობისა, სწავლისა თუ მრეწველობა-ვაჭრობისა, სადამდისაც მიგიწვდებოდა, ხელს აწვდენდი. უცხოობაში იყავი და შენეულობისათვის მაინც ზრუნვა არ დაგიტოვებია. შენი გვამი სხვაგან იყო, მაგრამ შენი სული ისევ აქაურობას დასტრიალებდა; იქ, სხვაგანაც, პატარა კრებულს ქართველობისას დაცემულ მდგომარეობაში შთაბერე განმაახლებელი სული. ამას ყველანი ვხედავთ და შენის მშვიდის სულის წინაშე თავს ვიხრით.

„მაგრამ მარტო ეს არ გვასწავლე, შენს მზრუნველობას აწვდენდი იმ ჩვენს სხვა-და-სხვა მოძმეთა, რომელნიც გარს ახვევია ჩვენ დიდ კავკასიონის მთებსა. შენ გვაჩვენე რომ ქართველს კაცს შეუძლია მოძმეობა გაუწიოს ჩვენ მეზობელ ხალხებსაც გვარტომობის და სარწმუნოების გაურჩევლად. შენი ყოფნა მათ შორის დამასწავლებელია ჩვენთვის. შენს მაყუცში შეერთდა შენს გვამზედ იმ კაცთა ცრემლი, სანამდისინ შენს სამშობლოში შეუერთებდით ჩვენც ჩვენს ცრემლსა. შენს ცხედარზე შეერთდა ცრემლი მთის იქითელთა და მთის აქეთელთა; შენმა სულმა შეგვაერთა დღეს მგლოვარენი. მშვიდობა შენს სულს, თუ დაგვიმტკიცე აზრი რომ მშვიდი მოღვაწე სამშობლოისა შეიძლებს მოღვაწეობას მეზობლობაშიაც. ესეც-კი კმაროდა, რომ მადლობით აღვსილს შენთა მეგობართა გულში საუკუნოდ დაშთეს სახსენებელი შენი. მშვიდობით!“.

განსვენებულის დასაფლავების ხარჯად მთავრობამ გადასდო 600 მან. როგორც შევიტყვეთ, განსვენებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კავკავში განუზრახავთ ცალკე ბროშურის დაბეჭდვა. ამავე ბროშურაში იქმნება მოხსენებული ყოველი ცნობა მიხეილ ზაალის-ძის მიცვალებისა და დასაფლავების შესახებ.

⁂ წინამძღვრიანთ კარიდამ გვწერენ დეპეშით რომ წინამძღვრიანთკარის სკოლამ გადიხადა პანაშვიდი განსვენებულის მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის გასასვენებლად და დიდად მწუხარენი ვართ, რომ დავკარგეთ დაუვიწყარი მუშაკი მეცნიერებისაო.

⁂ დაიბეჭდა და მალე გასასყიდად დაურიგდება წიგნების მაღაზიებს ახალი ქართული წიგნი მოთხრობა: „პატიოსანი ადამიანი“.

⁂ კვირას, ამ თთვის 10, ციხის აბანოში ერთი აზირებული ამბავი მოხდა. ხალხის აბანოში სხვათა შორის მივიდა ერთი დედაკაცი თავისის ქალით მარგალიტათი, რომელიც ასე 17—18 წლისა იყო. ჩავიდა თუ არა ეს გასათხოვარი ქალი აუზში, უცბად კუპრსავით გაშავდა. ატყდა საშინელი ყაყანი, რა მოხდა და რისაგან გაშავდა ქალიო. ზოგს შეეშინდა კიდეც, გადამდები სატკივარი არა ჰქონდესრაო. ბევრი უხეხეს ყმაწვილს ქალს სახე და ხელები, თითქმის სისხლი ადინეს ტანიდგან, მაგრამ ვერ გაათეთრეს, და ისე ზანგის სახით გაემგზავრა სახლში. გაშავებული ჰქონდა სახე, ყელ-ყური, გული და ხელები. ძნელად მისახვედრი არ არის ის მიზეზი, რა მიზეზითაც ეს ჩვიდმეტის წლის ლამაზი ქალი გაშავდა. მარგალიტაც, როგორც ყოველი გასათხოვარი ქალი, ალბად ჰხმარობს ფერ-უმარილს, რომელშიაც ტყვია და კალა ურევია; აბანოს წყალშიაც არის გოგირდი და სხვა მრავალი ლითონი, რომელიც ტყვიასთან შეერთების დროს უმარილს აშავებს.

⁂ კვირას, დილის ხუთ საათზე, არსენალის თოფის წამლის სარდაფებიდგან მოისმა თოფის ხმა, რომლის გაგონებაზედაც მაშინვე გამოცვივდნენ ჯარის-კაცნი. თოფის ხმა მოისმა ახლო ხევიდგან, საიდგანაც ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ორი ვიღაცა კაცი,

## ფელეტონი

### განჯის აღება

II

(შემდეგი. იხილე „ივერია“ № 53)

ოდეს მოიწია გაზაფხული მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა ძის ძეა თვისი დავით მეწინავეთა მხედართა განჯასა ზედა და შეუდგინა მას კვალად სხვათა მხედრობითა ძე თვისი ალექსანდრე. და მივიდნენ ესე მეფის ძენი განჯას და აღიღეს ქალაქი განჯაა წელსა 1796-სა, აპრილის 3 სა, დღესა ხუთშაბათსა.

მაშინ იბრეიმხან ყარაბაღისა მოსრულიყო მახლობლად განჯისა და სდგა ქურაქჩაისა მდინარესა ზედა, რომელი მორავს განჯას ორისა მილითა, ე. ი. ათოთხმეტის ვერსითა. ხოლო ჯავადხან, ვინაიდგან სასახლეცა თვისი აქვნდა ციხესა შინა და ყოველნი სახლეულობანი მისნი ჰყვეს მისთანა, განამაგრნა მან ციხეა. ჰყვეს მას მეციხოვნენი გამოცდილნი და გულოვანნი და აქვნდა საჭმელთა სიმრავლე და სახმართა ყოველთავე ციხისათა ადრიდგანვე მზადებულნი გარე შემოზღუდნეს ციხეა მხედრობამან მეფის ძეთამან. ხოლო იხილა-რა ხანმან ყარაბაღისმან იბრეიმ ესე, მოვიდა და დასდგა ერთ კერძო გარე ქალაქსა განჯისა, ადგილსა, რომელსა ეწოდების იმაზადა. და არა მოვიდეს ესენი ბრძოლასა ზედა ციხისასა, ვინაიდგან იყვნეს ყარაბაღელნი ყოველნივე ცხენოსანნი მხედარნი და არა მკვირცხლნი და არცა აქვნდათ მათ ზარბაზანნი.

და ვითარცა იხილა განჯის ხანმან სიმცირე მხედრისა მეფის ძეთა, რომელთაცა შემოეზღვდათ ციხეა, იდუმალისა კარითა გამოვიდა იგი ციხით განთიადისა ჟამსა და ზედა დაესხა მხედრობათა მეფის ძეთა. მაშინ აღმხედრდეს მეფის ძენი და მიმართეს მტერთა, ჰხდლეს და შეჰყარნეს იგინი ლტოლვილნი ციხესა შინა და შეიპყრეს მათგანნი კაცნი სამასნი და რომელნიმე მათგანნი იყვნეს ლეკნი, მათგანნი, რომელნიცა მოეყიზდნეს ჯავადხანს და ჰყვეს ციხესა შინა თვისსა თანა. ხოლო ესე ძლევაა მეფის ძეთაგან განჯელთა იქმნა მაისის 9-სა დღესა შაბათსა. კვალად სწორსა ზედა მის გამარჯვებისასა მაისის ათექვსმეტს, გამოუხდეს ციხით უმრავლესნი მხედრობანი და ლეკნიცა მათ თანა. მაშინ დღესა მას ძლეულ ჰყვნა იგინი მეფის ძემან დავით მცირედითა მხედრობითა თვისითა და მოიკლა ბრძოლასა მას შინა არზუმან ვინმე ჩინებული გულოვანი, ერთგული და დიდად საყვარელი ჯავადხანისა და მხედართ-მძღვანი მისი. ესე არზუმან იყო სომეხი გვარითა და სარწმუნოებითა და იყო იგი ყარაბაღელთა სომეხთაგანი, გარნა ადრიდგანვე მცხოვრები ჯავადხანისა თანა. ხოლო ესე არზუმან მოიკლა კელითა მეფის ძის დავითის ბავრაყის მტვირთველის (ალამდარის) გივისა მიერ, რომელიცა იყო გვარეულობითა ჩინებულთა ოსთაგან და ესე იყო სიყრმითგანვე აღზრდილი მეფის ძესა დავითსა თანა. და გამოჩინებული გულოვანი იყო ესე. მას დღესა განჯის ციხით გამოსრულთა მათ მებრძოლთაგანნი მრავალნი მოსწყვიტნეს და შეიპყრნეს ცოცხალნი მხედრობამან მეფის ძისამან. და და ზთომილნი მათგანნი სირცხვილეულნი შეივლნენ ციხესავე შინა. ხოლო ამას შემდგომ ვიდრე თიბათვის ნახევრამდე ათ-ქვსმეტ გზის მოუხდათ ბრძოლაა მეფის ძეთა მხედრობასა და განჯელთა და მარადის იძლივნეს განჯელნი. და მოიკლა მელიქ მეჯუმ, რომელიცა იყო სომეხი მელიქთაგან ჩილაბირთისათა.

ამას შინა მოვიდა ყოვლითა მხედრობითა თვისითა მეფე ირაკლი და ჰყვეს თანა ძენი თვისნი, პირმშო და მემკვიდრე გიორგი და ძის ძენი იოანე და ბაგრატ. აქვნდეს კახთა მხედრობასა ურემნი მრავალნი საზრდოთა აღსავსენი და კაცნი მებრძოლნი ფრიად რჩეულნი. და აქვნდა სახილველობა მხედრობასა მას და ურემთა მათთა ფრიად ზარის საცემელი მტერთა. ურემნი მათნი იყვნეს დიდ (ვითარცა არს ჩვეულებისამებრ) და ყოველსა ურემსა ებნეს თვითოეულსა ოთხ-ოთხნი კარნი ან კამბეჩნი და თვითოეულსა ურემსა ზედა იყვნეს კაცნი ოროლნი თოფისანი და სრულიად ყოვლითა საჭურველითა მკვირცხლითათა შეჭურვილნი. ხოლო ურემნი იგი იყვნეს ვიდრე რვა ათასამდე (8,000). და აქვნდათ ურემთა ზედა ყოველნივე საჭურველნი მოსახმარებელნი ციხისა აღებისათვის და იარაღნი. და გარდა ამისა ჰყვეს მეფისა სხვანიცა კვალად უმეტესნი მხედარნი ქვეითთაგან და რჩეულთა მხედრობათა ცხენოსანთანი მრავალნი.

ურემთა მათ აქვნდათ განწესებაა თვისი, თუ ვითარ და საჲა, რომელსა კერძოსა შემთხვევისამებრ წინააღმდგომისა და ადგილისა, დასდგებოდეს იგინი ბრძოლისა ჟამსა და თვითოეული კაცი ურმისა მის წარვიდოდეს ბრძოლად პირის-პირ მტერთა. ხოლო თვითოეულ დადგრებოდა ურემსა თვისსა და ოდესცა დაშვრებოდეს ბრძოლისაგან ბრძანებისამებრ მხედართ-მძღვანთა თვისთათა მოიქცეოდეს ურემთა მიმართ და სხვანი შესვენებულნი ურემთა მყოფნი მივიდოდეს ბრძოლად. გარნა არცა ერთისა მებრძოლისაგანა ძალ-ედვა თავით თვისით მიქცევა ანუ უკუნ-ქცევაა თვინიერ ბრძანებისა უფროსთა თვისთა. მაშინ ოდესცა უბრძანებდეს მათ მხედართ-მძღვანი. ხოლო ბანაკთა შინა აქვნდათ იგი გარემო ბანაკისა—გარემო მოხვეულნი, ვითარცა ზღუდე რაჲმე და ზედა-დასხმისაგან მტერთასა არა რაჲმე აქვნდათ შიში.

ვითარცა მიეახლა მეფე განჯას, მოეგება მეფესა იბრეიმ-ხან და მიიღო იგი მეფემან შესაბამითა პატივისცემითა და შეიტკბო იგი ფრიად. ხოლო ვითარცა იხილა იბრეიმ-ხანმან ესოდენი ძლიერება და დიდებული მისვლა მეფისა, დაუკვირდა ფრიად, და ვითარცა მძრწოლარე, ეგრე იქმნა ხილვასა მას ზედა მეფისა და მხედრობათა მისთასა. მაშინ მოიკითხა მოწლედ მეფემან იბრეიმხან და ნუგეშინი სცა მას მასზედა, ვინაიდგან მრავალი წაუხდა მოსვლასაზედა აღა-მაჰმად-ხანისასა ხანსა მას ყარაბაღისასა და აღიჭნა ნიჭნი მდიდარნი მეფემან, ვინაიდგან ნაკლუ-

რომელნიც მიდიოდნენ სარდაფებისკენ, სადაც თოფის წამალია შენახული. მცველმა დაუყვირა, შედექით, თორემ თოფს გესვრიო, მაგრამ ისინი არ შესდგნენ. მაშინ ჯარისკაცმა გასტენა თოფი და უნდოდა ესროლა, მაგრამ, საუბედუროდ, თოფი გაუვარდა. იმ დროს, როდესაც ყაწმის შეკვრა უნდოდა, ტყვია მარცხენა მკლავში მოხვდა და დასჭრა. ორივე უცნობი მონადირეები აღმოჩნდნენ და პოლიციამ უკვე შეიპყრო. გამოძიება ჯერ არ გათავებულა.

*** გუშინ, ამ თთვის 11, დილის 8 საათზე, ტფილისში ჩამოვიდა ფრანგულ ოპერეტის არტისტი-ქალი ანნა ჟუდიკი თავისის დასითურთ. ჟუდიკს დიდის ამბით მიეგებნენ რკინის გზის სადგურზედ, სადაც დილის შვიდ საათიდგანვე მოიყარა თავი დიდ-ძალმა ხალხმა.

*** მის უმაღლესობის ჰერცოგი ორლეანელის ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ ხშირი ხმა დადიოდა, რომ იგი ჩარიცხულ იქნება სევერის დრაგუნის პოლკშიო. მართლაც, ჰერცოგი ორლეანელი რუსეთში ამ აზრით მოსულა, მაგრამ ეხლა ნამდვილად შევიტყეთ, რომ ჰერცოგი ორლეანელი დრაგუნის პოლკში არ იქნება მიღებული, ჯერ ერთი იმიტომ-რომ დრაგუნებისვე პოლკში ირიცხება მისი უმაღლესობა პრინცი ლიუდოვიკო ნაპოლეონი, რომელსაც სამსახური ჰერცოგ ორლეანელთან ერთად არ შეუძლიან და ამას გარდა სხვა საპოლიტიკო მიზეზებიც არის, რომ ჰერცოგი სამსახურში არ მიიღონო. ჰერცოგი ორლეანელი ტფილისიდგან ამ დღეებში ბაქოში გაემგზავრება.

*** კვირას, 10 მარტს, კრება ჰქონდა ტფილისში ახლად დაარსებულს „ურთი-ერთ შორის ცეცხლისაგან დამზღვეველს საზოგადოებას“. კრებას დაესწრო 43 კაცი. ანგარიში წარსულის წლისა და ამ წლის ხარჯთაღრიცხვა (სულ 5,460 მან.) კრებამ დაამტკიცა. ახალი პროექტი გამგეობისა საზოგადოების კრებაზედ წარმოსადგენ ვექილობებისა არ იქმნა მოწონებული. გამგეობამ ამის შესახებ ის აზრი შემოიტანა, რომ ვექილობა მიეცეს ყველა მზღვეველსაო, მაგრამ კრებამ ის წესი შემოიღო, რა წესიც დადგენილია საქალაქო წესდებულებაშიო.

გამგეობისა მოხსენება იმის შესახებ რომ ვინც სამის წლის ვადით დააზღვევს ამ საზოგადოებაში მამულს, 5% ნაკლები გამოერთვას დაზღვეულ მამულზედაო, კრებამ დაამტკიცა.

დასასრულ ამორჩეულ იქმნენ მოხელენი გამგეობისა: თავს-მჯდომარის თავ. კ. ბებუთოვის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა, აირჩიეს ქალაქის თავად ყოფილი ა. ს. მატინოვი, რომელმაც უსასყიდლოდ მიიღო თავმჯდომარის თანამდებობა; ამის კანდიდატად ამორჩეულ იქმნა ე. გ—ძე კანდურალოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად: გ. ა—ძე ქუჩარიანცი და ა. მ-ძე თამამშევი; ამათ კანდიდატებად— თავ. ე. მ-ძე თუმანოვი და ი. ისაროლოვი; ზედამხედველ კომიტეტის წევრებად: თავ. ი. გ-ძე მაჩაბელი და ა. ივანენკო, ამათ კანდიდატებად—ა. წურინოვი და ნ. კუსიკოვი.

*** 12 მარტიდგან შემოღებულ იქმნა შემდეგი ნიხრი პურისა:

ფურნეში გამომცხვარისა:

1-ლ ხარისხის რუსეთის თეთრის ფქვილისა გირვანქა . . . 4 კაპ.
მე-2 ხარ. თანასწორად შერეულის რუსეთის თეთრისა და ჩვენებურის ფქვილისა გირვ. . . . . 3 კაპ.
მე-3 ხარ. ჩვენებ. ფქვილისა. $2^1/_4$ „

თონის პურისა:

1-ლ ხარ. ჯვარის მამისა გირ. $4^1/_2$ „
მე-2 ხ. შერეულის ფქვილით „ $3^1/_2$ „
მე-3 ხარ. ჩვენებურის ფქვილისა. . „ . $2^1/_2$ „

ლავაში:

1-ლ ხარ. ჯვარის მამისა გირვ. 7 „
მე-2 „ „ . . . $3^1/_2$ „

*** ბანკის თეატრის იჯარის ვადა თავდება. ახლად იჯარის აღების მსურველი ხუთი კაცი აღმოჩნდა და გუშინ, 11 მარტს, ამ ხუთში მხოლოდ სამი კაცი წარსდგა ბანკის გამგეობის წინაშე: ეხლანდელი იჯარადარი თეატრისა ბ-ნი ფორკატტი, რუსის არტისტი კრემლევი და ჩვენის სცენის არტისტი-ქალი მ. საფაროვაბაშიძისა. ბანკის გამგეობამ აცნობა, რომ ზოგიერთი ჩვენი პირობანი უთუოდ უნდა შეასრულოს იჯარადარმაო, ამას გარდა, ვისაც თეატრის იჯარით აღება ჰსურს, უნდა წარმოადგინოს 2133 მანეთი გირაოდ, მომავალ ორშაბათამდისო. გამგეობა ბანკისა განიხილავს მაშინ იჯარადარის პირობას და გადასწყვეტს, ვის უნდა მიეცეს იჯარით ბანკის თეატრიო, და ვისაც თეატრი იჯარით არ მიეცემა, თავის გირაო უკანვე დაუბრუნდებაო.

*** მარელისი: (რკინ. გზ. სადგ.) ამ თთვის 7, ხუთშაბათს, სამწუხარო შემთხვევა მოხდა ჩვენს სადგურზედ. საქონლის მატარებელი № 73 დიდი ხანი გასული იყო ჩვენის სადგურიდგან ბეჟათ-უბნისაკენ, როცა გზის ლიანდაგზედ, სადგურს ახლო, იპოვნეს მთლად დამტვრეული კონდუქტორი ქუთაისის მაზრის სოფ. საბაშიოს მცხოვრები სოლომონ ექვთიმეს ძე დვალიშვილი.

როცა მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა, საბრალო დვალიშვილი ვაგონიდგან გადმოვარდნილიყო, თვლებს არ გადაევლო, მაგრამ მოჰყოლოდა ვაგონსა და ვაგონ შუა, იმ ადგილას, სადაც ჯაჭვებით გადაბმულია, და დაშავებულიყო.

ნახეს თუ არა დამტვრეული კაცი, იმ წამსვე სადგურის უფროსმა დეპეშით შეშწეობა მოსთხოვა რკინისგზის ექიმს, რომელსაც ჩვენი მხარე ექვემდებარება; ამას გარდა ფერშალსაც ცალკე აცნობეს, მაგრამ არავითარი პასუხი არ მოუვიდა. მერე დამსხვრეული მომაკვდავი დავაწვინეთ ხაშურისაკენ მიმავალ საქონლის მატარებელზედ № 21 და სადგურის უფროსმა დეპეშით აცნობა ექიმს, დახვედროდა გზაში და შემწეობა აღმოეჩინა. მძიმედ დამსხვრეული დვალიშვილი ცოცხალ-მკვდარი მიიყვანეს ხაშურის სადგურზედ, მაგრამ ვერც აქ დაუხვდა ექიმი და ისე განუტევა სული საბრალომ საშინელს ვაება-შეწუხებაში.

*** 9 მარტს პოლიციის მეექვსე ნაწილში ტფილისის მცხოვრებელი მიქელ ახპეროღლი წაეჩხუბა აკოფ ბაბოვს და დანით მარცხენა ფეხში დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეშვიდე ნაწილში მეეტლე ბაზარკინმა გაუფრთხილებლობით კონსტანტინე ამირჯანოვის 7 წლის ბავშვს ეტლი დაატაკა და მხუბუქად დააშავა. მეეტლე პაპუხის-გებაშია მიცემული.

*** 10 მარტს, ღამით, ლაბორატორის ქუჩაზე მასწავლებელს გედევანოვს მოჰპარეს 65 მანეთის ნივთეულობა, ხოლო იმის მზარეულს ფულად ხუთი მანეთი, ეჭვი მიიტანეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელს. მდივნიშვილზედ.

## დრო სინანულისა

(სადიდ-მარხვო წერილი გურიიდამ)

დაგვიდგა დიდი მარხვა; დაჰკრა საათმა ლოცვისა და სინანულისამ. ერთობ კარგი დღეებია დიდ-მარხვის დღეები! ქრისტეს მოსავი ერი ლოცვასა და სინანულშია; თვითოეული ჩვენგანი ცდილობს სინანულით განისპეტაკოს თვისი გული, ცრემლით განიბანოს ცოდვით დამძიმებული სული; თვითოეული ჩვენგანი ანგარიშს აძლევს თავის თავს: რა მადლი შეიძინა წლის განმავლობაში, ან სად დაეცა და ცოდვით შელახა თვისი ღვთაებრივი ბუნება, ყოველს ჩვენგანს სასწორზე გააქვს თვისი ცოდვა-მადლი და გულის ძგერით უკვირდება, აბა საით არის გადახრილი სასწორის ულელიო. შენდა მოძლვრად თვალწინ გიდგას მადლით განსხივოსნებული სახე ქვეყნის მხსნელისა და ყურში გიდგას ძლიერი ხმა ჩვენთვის თავ-დადებულისა: „რომელსა ნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგი მე“. რა კარგი სიტყვებია! უარჰყო შენი თავი იქ, სადაც სხვების უბედურებასა ჰხედავ! სულით და გულით გინდა პირადი ანგარიშები „გვერდზე მიდო იმ აზრით, რომ თუ გინდ ერთს უბედურსაც მაინც თვალებზე ცრემლი შეაშრო; სულით და გულით გწადიან სიმართლისათვის ჯვარის აღება და ჭეშმარიტების გზაზე სიარული, რა გინდ რომ ეკლით იყოს ეს გზა მოცული, მიტომ რომ ამას ჩაგძახის ეს დიდებული სურათი უბედურთა მხსნელისა, ერთის სიტყვით გწადიან ხელი ჰკრა ყველაფერს, რაცკი უშლის კაცს სულით ამაღლებას. რაღა ბევრი გავაგრძელო, ბევრი ამ გვარი კაცის გამაადამიანებელი გრძნობა და სურვილი გებადება კაცს სულსა და გულში ამ საერთო სინანულის დღეებში —დიდ-მარხვაში; მაგრამ ამ საერთო ღაღადის წინ ყური მოუყრუებია, სინიდისისათვის კარი გამოუკეტია ჩვენს იოთამს. ჩვენი ხალხის სიტყვით,ავი კაცი აღდგომასაც ავია. იოთამიც კაცია და არაფერი კაცებური არ ეუცხოვება-რა; სიყვარულიც იცის, ესტეტიკაც და აზროვნობა-წადილებსაც მოკლებული არ არის. მისი სატრფიალო საგანია ცხენი, რომელსაც ათასი საალერსო სახელ-წოდებით ამკობს; სუფთად დავარცხნილი ფაფარი, „წამოტარახინებული“ კუდი და ტურფა მოკაზმულობა მისი სატრფოსი სრულიად აკმაყოფილებს მის ესტეტიკურს გემოვნებას. საფარჯიშო მისის გონებისა სულ ის არის, თუ როგორ მიჩქმალოს თვისი შავი საქმეები, როგორ გაბას ქსელში თვისი მოძმე, ვინ როგორ „გააპალაჩოს“ როგორც თითონ იტყვის ხოლმე. სულიერი მისი მისწრაფებანი?—მაგას ნუღარ იკითხავთ. იოთამი ანგარიშის კაცია და რასაც პირადი სარგებლობა არ მოჰყვება, ჰირიეთ ეჯავრება. „ჩემი ურგები შეჭამადი ძაღლს და ქოთანი—ქვასაო“, იტყვის ხოლმე ხშირად ცხოვრებისაგან გაქელილი იოთამი. ყველგან და ყველასაგან უეჭველად უნდა ისარგებლოს რამე, არა თუ ცოცხალს, მკვდარსაც უთუოდ რასმე გამოსწირავს და ხშირად ბევრსაც. ამ გვარი ჩამოსარჩენისათვის ის

---

ლევან იყო ფრიად მას ჟამსა ხანი. მიბრძანდა განჯას მეფე და შთამოხდა. ვიდარა იკადრეს მაშინ განსვლად გარე ციხისა მხედრობამან და მეციხოვნეთა ჯავად-ხანისათა. რადგან შემოზღუდეს და აიწრეს ფრიად მხედრობამან მეფისამან ციხესა შინა მყოფნი და განმზადნეს პატნეზნი და კიბენი და ყოველნი სახმარნი ნივთნი აღებად ციხისა. მაშინ ევედრა მეფესა ფრიად ჯავად-ხან მიტევებასა ბრალთა მისთასა და შემდგომად მრავლისა ვედრებისა და შუა-მდგომელობისა მოდრკა მეფე მოწყალებად ერთ-კერძო სიბრალულთა განჯის მცხოვრებთათა. ვინაიდგან განდიდნა სენი სიცხისა მიერ და იწროებისა ციხესა შინა შემწყვდეულთა და დღითი-დღე იხოცებოდეს მცხოვრებნი მას შინა ურიცხვნი. და ვინაიდგან დედა-წულნიცა იყვნეს მრავალნი მათგანნი, შეიწყალნა იგინი მეფემა და ამისთვის ინება მიტევება, რათა არა მოწყვეტილ იქმნენ მხედრობისაგან მისისა, თუმცა-ღა მიუტევნა მას, გარნა არა ინება წარდგინებაჲ ჯავად-ხანისა თვისთანა და არცა მიუშვა იგი წინაშე მისსა, არამედ დასდვა მას ხარკი ვითარცა პირველ და გამოართვნა ტყვენი ტფილისისანი, რაოდენიცა იყვნეს განჯასა შინა ანუ ჯავად-ხანის მიერ წარყვანილნი, ანუ გასყიდულნი მისგან მხედრობათა სპარსთაგან, ანუ განჯელთაგან გასყიდულნი და წარყვანილნი ყოველნივე უკლებლად გამოართვნა. ხოლო იყვნეს ტყვენი ტფილისისანი უმეტეს ათასთასა. კვალად მიუხვნა ნივთნიცა იგი, რომელნიცა წარიღოთ ანუ მოისყიდათ სპარსთაგან ჯავად-ხანს ანუ განჯელთა ტფილისით. და რაჲცა წარეგო მეფესა ლაშქრობასა მას ზედა, ანუ ხანსა ყარაბაღისასა, იგიცა აზღევა მეფემან. გარნა ვინაიდგან სრულად არა ძალ-ედვა მას მიცემა რომელნიმე აპატივა მას და ესრეთ მოიქცა მეფე და განუტევა ხანი ყარაბაღისა სახლად თვისად მრავლითა ნიჭითა და საბოძვრითა და ეგრეთვე ჩ ნებულნი მისნი და ფრიადისა მადლობითა წარვიდა იბრეიმ-ხან. ხოლო მეფე ყოვლითა მხედრობითა თვისითა მოიქცა ძლევა-მოსილი ტფილისად და ანიჭნა მხედრობათა თვისთა, რომელნიცა ღირს იყვნეს სიმხნისათვის მათისა ჯილდონი და წყალობანი მრავალნი. მცირედ ჟამ დაჰყო მეფემან ტფილისს და მიიქცა კახეთადვე, თელავს, სადა იგი ჰყვეს თვისნი სახლეულობანი.

ხოლო ჯავად ხან დაშთა ციხესავე შინა განჯისასა, არღა-რა დაშთა მას სრულიად გახჯასა სამზღვარსა შინა არცა ერთი-ღა სოფელი შენად. აღუოხრ და ქალაქი მისი სრულიად. ციხესა შინა მისსა ჟამსა მას გარე-მოდგმისა მეფისასა მოსწყდეს სენისაგან მცხოვრებთაგან განჯისათა ათი-ათასი სული. მიეღო მას (ჯავედ-ხანს) ნივთნი იგი, რომელსა ზედაცა აქვნდა მას სასოება, და ესრეთ ყოვლითურთ განწირულებასა შინა მიწევნილსა, ვერღარა, რაჲსამე მწე ექმნა აღა-მაჰმად-ხან, ვერცა-ღა სპარსნი და ვერცა-ღა სხვანი მახლობელნი მისნი და სინანულსა შორის იყოფოდა იგი.

ამასვე წელსა 1796, ოდეს მოიქცა მეფე განჯით ტფილისად, მოვიდეს როსიისა მხედრობანი მრავალნი დიდისა განმზადებულებითა, წარმოვლინებული იმპერატრიცა ეკატერინეს მიერ (მე-II) მძლვანელობასა ქვეშე გრაფ უვალერიანე ზუბოვისასა. მოიწივნეს დარუბანდის გზითა და დაიპყრეს დარუბანდი, ყუბა, ბაქუ, სალიანი და შამახია და განვიდა მხედრობაჲ მისი მდინარესა მტკვრისასა დიდსა მას მინდორსა ზედა მუღანისასა. ხოლო მაშინ აღა-მაჰმად-ხან ჯერეთ არა მოქცეულ იყო ხორასნით, არამედ იპყრობდა მუნ ადგილთა ხორასნისათა, რომელნიცა არა იყვნეს ქვეშე კელისა კელმწიფობისა მისისა. ხოლო ზუბოვმან წარგზავნა მხედრობითა ღენერალ-მაიორი რომაელი კარსიკოვი და მოვიდა იგი პირველად განჯას. და მუნ მიეგება მას განჯის ხანი ჯავად-ხან ბრძანებითა და კითხვითა მეფის ირაკლისათა და ისტუმრა იგი ფრიადისა პატივისცემითა და გამოუცხადა მას ერთგულობაჲ რუსეთისა კარისა და მორჩილებაჲ თვისი მეფისა ირაკლის მიმართ. შეიყვანა მხედრობანი რუსთანი ციხესა შინა. მიართვნა მან ძღვენნი და მხედრობათა ყოველნი სახმარნი, რაჲცა მას ჟამსა მოეპოებოდა მას. მაშინ კარსიკოვმან დაუტევნა განჯის ციხესა შინა რაოდენნიმე მხედარნი და თვით წარმოვიდა მხედრობითა სხვითა ტფილისს, სადაცა მიიღო მეფემან დიდისა პატივის-ცემითა და მხედრობანი მისნი დაჰყვნა სოფელთა შინა ქართლისა და კახეთისათა და მისცნა მათ საზრდო და ყოველნივე სახმარნი საკმაოდ. ხოლო განიზრახეს მეფემან და კარსიკოვმან ერთად. ვინაიდგან განზრახვაჲ იმპერატრიცა ეკატერინასი იყო ესრეთ.

რათა გრაფ უვალერიანეს კელისა ქვეშეთა მხედრობათა წინამძღვარ ერქმნენ მხედრობანი მეფისანი და რათა აღირჩიოს მეფემან მხედრობანი რჩეულნი საქართველოსანი და უწინამძღვროს მათ ერთი ძეთა ანუ ძის ძეთა თვისთაგანი და ექმნას წინამძღვარ მხედრობისა რუსისა; და შევიდნენ შინაგან სპარსეთსა და დაიპყრან ქვეყანანი და ქალაქნი სპარსთანი და მიაგონ შური აღა-მაჰმად-ხანს, რომელიცა უყო მან ტფილისსა სამაგიეროდ მისსა. ხოლო ღენერალი კარსიკოვი რათა დაშთეს საქართველოსა შინა მხედრობითა თვისითა მეფესა ირაკლისათანა, ვინაჲდგან განიმხედრებენ მხედრობანი საქართველოსანი სპარსეთსა, რათა არა აქვნდეს შიში საქართველოსა სხვათა მეზობელთაგან მათთა. ოთნდეს განზრახვანი ესე მეფესა ირაკლის ფრიად და განამზადებდა ძის ძესა თვისსა დავითს წარვლინებად მხედრობითა ფრიად რჩეულითა წინა— წარძღვანებად შეყვანად უშინაგანესსა სპარსეთსა შინა გრაფ უვალერიანე ზუბოვისა ყოვლითა მხედრობითა თვისითა. მაშინ შემდგომად არა მრავლისა ჟამისა გარდაცვალებულ იქმნა-რა იმპერატრიცა ეკატირინა მეორე და მიიღო საყდარი მისი ძემან მისმან იმიმპერატორმან პავლემან პირველმან, უკუნ-აქციენა მუნ ყოველნი მხედრობანი როსიისანი როსიადვე და ყოველნივე ესე დაწყობილებანი მაშინდელნი შეიცვალნეს სხვებრ.

(შემდეგი იქნება)

ხან ცხრა მთას იქით მიფარფაშობს, რის გამო ხალხი მეტ სახელად ყორანს უწოდებს. მართლა და ყორანივით შავი გული აქვს, შავი აზრები და მისწრაფებანი. სხვისი რა მოგახსენო და მე-კი, როგორც ყორანის, ისე იოთამის დანახვაზე რაღაც საზარელი ფიქრები შემიპყრობს ხოლმე, რადგან მაგონდება, რომ ამათ ორთავეემ სხვის გაჭირვებაზე უნდა მოითბონ ხელი. რაც უნდა მაგარი ხასიათის კაცი იყო, იოთამის პირისპირ შეხვედრა ერთიერთს შენს პატიოსან ლტოლვილებას უეჭველად ჩაგიკლავს გულში, ისეთს პატიოსან მისწრაფებათა დამაზრობელს სიცივეს მოგბერავს ანგარების სამსახურში გაცვეთილი და ონავარ ცხოვრებისაგან გალოდებული მისი ბუნება. იოთამი სინათლეს, როგორც ყველა მტაცებელი, ჭირივით ერიდება და საშინლად მტრობს ყველას, ვინც ცდილობს ამ წყვდიადს შუქი მოჰფინოს. სულ იმის ცდაშია, ამ გვარს კაცებს ხალხში ნდობა დაუკარგოს ძვირის ლაპარაკით და ხან დაბეზღებასაც-კი მიმართავს მათ წინააღმდეგ. ბნელეთში-კი თავისუფლად დაპარპაშობს და მადიანათ „აპალაჩებს“ თავის მსხვერპლს, რომლის კვნესა და გმინვა ერთს გულშემატკივარსაც ვერ პოულობს ამ ტიალს ქვეყანაზე და უხმოდ იკარგება ამ ადამიანთა უდაბნოში. არც ღვთის შიში აქვს, არც კაცის, ერთხელაც თავის ცოდვით დამძიმებულს სულზე არ დაფიქრდება და არა თუ არ დაფიქრდება, არც-კი ახსოვს, რომ უფალმა სხეულთან ერთად უკვდავი სულიც მიაბარა საპატრონოდ და მოსავლელად.

ის სულ იმის ცდაშია რომ ამ წუთი-სოფელში ბეწვი არ ჩაუწყდეს; ბოლოს თუ უბედურება ეწვია და მახეში გაება, ძლიერს ნაცნობობას ან თავის ნაქებს პურ-ღვინოს მიმართავს ხოლმე; მაგრამ ყველაზე ძლიერი იარაღი ამ [illegible] ძმად გაფიცებული ორახელაა. ეს ორახელაც ერთი ახირებული არსება არის. ადრევე შეეჩვია სხვის წყალობით ცხოვრებას და უქმად დროს ტარებას. ქელეხის მუდმივი წევრი დღეს აქ ქეიფობდა, ხვალ იქ, ყველგან ურასა და „ორახელას“ იძახოდა, რის გამო ჩვენმა ხალხმაც ორახელას სახელით მონათლა. თან დაყოლილს სიზარმაცეს უსურათებდა უხასიათობა-ტყუილის ლაპარაკი და მეტად გამწევი სინიდისი. სიცრუის დამტკიცებაში შეუდარებელი იყო და ხშირად ერთი სადილის გულისთვის გაგიწევდა ამ სამსახურს. სანამ პატიოსნება ძვირად გვიღირდა და ნამუსით თავი მოგვწონდა, ორახელასაც ფერდი-ფერდზედ ჰქონდა მიკრული; დღეს-კი საჭირო კაცი გახდა, თავისი არსებობა იოთამს დაუკავშირა და მისი ნასუფრალით იკვებება. საჭირო კაცია და იოთამიც არ იშურებს მისთვის ლუკმა პურს. თუ იოთამი მახეში გაება, ორახელამ უნდა გამოხსნას და როცა იოთამი სხვისთვის აგებს ქსელს, თოკის წვერებს მაშინაც ორახელას მისცემს. ისინი შეეტკბნენ ერთმანეთს: იოთამი ორახელას მზეს ფიცულობს და ორახელა იოთამის სადღეგრძელოს სვამს, თუმცა ამათი დღეგრძელობა ბევრს ჩვენგანს სადღე-მოკლო ფიალს აცლევინებს და მათი არსებობა ჩვენს ცხოვრებას მაჯლაჯუნასავით აწევს და სულს უხუთავს.

სწორედ იოთამის ცოდვით დამძიმებულს სულზე ვფიქრობდი, როცა ზარის გუგუნმა მომაგონა ლოცვად დადგომის დრო და მეც გავეშურე მახლობელის ეკლესიისაკენ. აგერ კიდეც მივედი. ეკლესია სავსეა ხალხით. ტვირთ-მძიმე და ოფლის მღვრელი ერი ყველგან ქედ მოდრეკილი აქაც მოკრძალებით დგას სხვებზე მოშორებით და ნაღვლით სავსე თვალები ცისაკენ მიუპყრია. გახშირებული მეტანია, მკერდის მჯიღვა და თან ამოყოლილი გმინვა ცხადად მეუბნებოდა შემდეგს: იესო ტკბილო! ამ სოფლად ტანჯულს, მოუსვენარს, დაუტკბობელს, ათას გვარ ჭირ ნანახს, ათასის ვარამით და მოთხოვნილებით შევიწროებულს, ძლიერთაგან უსამართლოდ ჩაგრულს მანდ ცაში მაინც ნუ დამიკარგავ მოსვენებას. აქაური ტანჯვა მსხვერპლად შემიწირე და მით ცაში საუკუნო ცხოვრება გიმიმტკიცე. ეს ვინღა ირის? ყველაზედ წინ, მაცხოვრის ხატთან მოუყრია მუხლები, ხელები ცისაკენ აღუპყრია, თვალებს წკურავს, სახეზე უმანკოების ბეჭედი აზის. იოთამი!?. დახეთ, კინაღამ წმინდანის სახე მიუღია! ეცით, გარეგნობით გვიხვევს თვალს; ცხვრის ქურქით ჰლამის თავისი მგლური ბუნების დაფარვას.

ლოცვის შემდეგ ეკლესიის გალავანში მოვიყარეთ თავი. აგერ ხალხი გაირღვა, კრძალვით გზა დაუთმო და მოწიწებით უგზავნის სალამს. ვის?—იოთამს. ნეტავი რისთვის? ნაღველმა შემიპყრო, დავტოვე ის კრება და სახლისაკენ მოვკურცხლე. ვფიქრობდი ჩემთვის: რა ცუდია უმეცრება! ოჰ, უმეცრებავ! სიბრიყვევ! გაგიხმეს ძირი! რა ბრმა რამე ხარ!.. ხშირად მტარვალს გულში იკრავ და მოყვარეს ზურგს შეაქცევ ხოლმე. რამდენი ქვეყნის ერთგულისათვის ჩაგიშხამებია სიცოცხლე და რამდენ მუხანათისათვის-კი ბედნიერების გვირგვინი დაგიწნავს! [illegible] მხნელს ეკლის გვირგვინი, მაშინ როცა ათას უნამუსოს წინ მუხლს იყრიდი.

ამ ფიქრებში გართული არც-კი გამიგია, როგორ გავუსწორდი ჩვენს სამიკიტნოს, საიდგანაც გამოიჭრა ზარხოში კაცის ღიღინი:

ალავერდი ჩემო ხახს!
შენთვის ხომ არ არის მარხვა?
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა;

ნეტავი ვინ ეწევა ქეიფს ამ სავართო სინანულის დღეებში?—ორახელა. იოთამს კვლავ დასჭირებია მისი სამსახური და წითლიანი გადმოუგდია. ორახელაც თავ მოშვლეპილი ქეიფს ეწევა და იოთამის სადღეგრძელოს სვამს.

შუხნელი

◆◆

## ანნა ჟუდიკი

დღეს ტფილისში ვინ არის ისეთი, რომ ანნა ჟუდიკი ენაზე არ ადგეს და იმის გამო არა სჯიდეს და არ ლაპარაკობდეს. გაზეთში ანნა ჟუდიკია, აფიშაში ანნა ჟუდიკი, მაღაზიებში ანნა ჟუდიკის სურათია გამოფენილი. მერე ვინ არის ეს ანნა ჟუდიკი? აი უფრო დამიგდეთ და გაიგებთ.

ამ ოც-და-ათის წლის წინად პარიჟის თეატრის Gymnase dramatique-ს არტისტები აღტაცებულნი და მოხიბლულნი იყვნენ თეატრის ხაზინადარის პატარა ქალით. პატარა ანნა ყველას თავშემქცევარი, გამრთობი სევდის უკუმყრელი იყო. როცა რეპეტიციებზე დადიოდნენ, პირველად ხაზინადართან შეივლიდნენ, რომ პატარა ანნა ენახათ და იმისის ცქრიათ დამტკბარიყვნენ. რასაკვირველია, ხელცარიელი არ მიდიოდნენ ანნასთან. ზოგს გაშლი მიჰქონდა საჩუქრად, ზოგს ხმელი ხილი, ზოგს ტკბილეულობა, ზოგს დედოფალა და სხვა-და-სხვა სათამაშო. როცა სცენაზედ ანნა არა სჩანდა, ყველა რაღაც სიცარიელეს ჰგრძნობდა, თითქო რაღაც აკლდათ და ყველა მარცხენა გულისაკენ გაიცქირებოდა, სადაც იმათი პატარა მეგობარი იყო. აქედამ პატარა ანნა თავის გამჭრიახის და ჭკვიანის თვალებით უკვირდებოდა ყოველსავე იმას, რაც სცენაზე ხდებოდა.

გახდა ანნა 11 წლისა და დედამ მიაბარა სახელთ-საქმო სკოლაში; უნდოდა, რომ მისი ქალი ტანისამოსის კარგი გამომჭრელი და თარგის ამღები გამოსულიყო. ანნა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სკოლაში, რომელთანაც არაფერი საერთო არ ჰქონდა, სწუხდა და ნაღველს ეძლეოდა. სწუხდა თავის წინანდელ მეგობართა მოშორების გამო; სწუხდა სცენის დატოვებისა და რეპეტიციების დათმობის გამო. მაგრამ რადგანაც მშობელთა სურვილს ურჩობას ვერ გაუწევდა, ბეჯითად მოჰკიდა ხელი თავის საქმის შესწავლას.

ჩქარა ისეთი შემთხვევა გამოტყდა, რომ ანნამ მიატოვა სახელთ-საქმო სკოლა და სამეფო კონსერვატორიაში შევიდა და გალობის სწავლა დაიწყო. უნდა გითქვათ, რომ ამ ახალს საქმეს ანნა გულ-მოდგინედ ვერ მოეკიდა და მალე დრამატიულს კლასებში გადავიდა, სადაც სამი წლის შემდეგ ერთ უკეთესს შეგირდად დაამთავრა სწავლა.

გავიდა რამდენიმე ხანი და აფიშამ აცნობა საზოგადოებას, რომ ამა-და-ამ როლს ჟუდიკი აასრულებსო. ის თამაშობდა ერთს უცნაურს ტრაგედიაში და სულ ორი სიტყვა ჰქონდა სათქმელი.

იმ დროს პარიჟში პირველი ყაჯახნის პატრონი ლოჟა განთქმული იყო, რომელსაც ანნას საუცხოვო ნიჭისა და ხმის შესახებ ბევრი რამ გაეგონა. ის მივიდა ანნას დედასთან, შესაფერი სასყიდელი აღუთქვა, ზარათი ჩამოართვა და მით არტისტი ქალის ბედ-იღბალი გადაწყვიტა.

დებიუტის დღე დაინიშნა... ანნა სცენაზე გამოვიდა და სრულიად გაიმარჯვა. ვინ მოსთვლის რამდენი თაიგული, ყვავილი და ლექსი უძღვნეს და ამასთანავე, რასაკვირველია, ლოჟამ გასსაც ფულით გაამსო.

— როგორი მომღერალია?—ეკითხებოდა ის თავის ნაცნობთ და თან ხელებს იფშვნეტდა.

— კარგი რამ არის, კარგი!—უპასუხებდნენ.

— ო, თქვენ რა იცით რამდენი მომღერალი გამომიყვანია ქვეყნად!.. მაგრამ მე ერთი რამ მეტად მარისხებს და მაღონებს: ჟუდიკს უნდა, რომ მე ის ხელიდამ გამომაცალოს.

— როგორ? ვის? ჟოზეფ-ჟუდიკს?

— დიახ, იმას უნდა წამართვას—ამბობდა ლოჟა და ამღვრეულს თვალებს აქა-იქ აცეცებდა, თითქოს შველას თხოულობსო, დამიხსენით ამ ძლიერის მტრის ჟუდიკისაგანაო. აღშფოთება და შიში ლოჟასი უსაფუძვლო არ იყო. ერთს ლოჟესთვის, რასაკვირველია, უბედურ დღეს ანნა დემიენს ჟუდიკმა გამოუცხადა დაჰქორწინდეთო.

ანნამ მიატოვა სცენა და გაჰყვა ჟუდიკს.

რამდენსამე ხანს შემდეგ პარიჟის გაზეთები ანნას ქებ-დიდებით სავსე იყო. იმას უწოდებდნენ ამომავალს მთიებს, რომელიც იმ დროს ბრუსელს, ლეტიხსა და ანტვერპენს ანათებდა.

ქებ-დიდება ანნასი თანდათან იზრდებოდა ასე, რომ უკვდავი ავტორი „მშვენიერი ელენისა“ ოფენბახი საგონებელში ჩავარდა და მარტო იმისთვის, რომ ეს ამომავალი მთიები ენახა, ბელგიას გაემგზავრა, საიდამაც შეშლილსავით დაბრუნდა.

— ის (ჟუდიკი) აქ უნდა იყოს და ასეც იქნება,—გადასწყვიტა მან და სარდუს შემწეობით კიდევაც მოიწვია ჟუდიკი პარიჟში, სადაც იმისი ნიჭი გადიფურჩქნა და გადიშალა ასე, რომ 1875 წელს ეს საუცხოვო არტისტი ქალი პეტერბურგმაც ინახულა.

ახლა ჟუდიკი ტფილისშია და, რასაკვირველია, აქაც დიდი ქებ-დიდება მოელის ამ ამომავალს მთიებს.

◆◆

## უცხოეთი

საფრანგეთი. გაზეთები ამბობენ, რომ საფრანგეთის ელჩის ერბეტის დათხოვნა სამსახურ დამ გადაწყვეტილი საქმეაო.

— ემილ ზოლას კიდევ გამოუცხადებია თავისი კანდიდატობა უკვდავთა აკადემიაში წევრობისა, ოქტავ ფეილეს ადგილის დასაჭერად.

— პარიჟში განუზრახავთ დაჰბეჭდონ სურათებიანი აღწერა სხვა-და-სხვა სატახტო ქალაქებისა. პარიჟის აღწერა უტვირთნია ფრანსუა კოპეს, ლონდონისა—ჩარლზ დილკს, ბერლინისა—ანტონენ პრუს, პეტერბურგისა—მელხიორ ვოგიუეს, ვენისა—ადანის ქალს, სტამბოლისა—პიერ ლოტის, ქაირისა—კამილ პელტანს.

გერმანია. ჟურნალ „Nord und Süd“-ის აპრილის წიგნში დაიბეჭდება დღემდე დაუბეჭდველი დღიური ფერდინანდ ლასსალისა პაულ ლინდაუს შენიშვნებითურთ.

— ვინდჰორსტის გარდაცვალებას დიდად შეუწუხებია გერმანიაში ყველა დასის წარმომადგენელნი. ავადმყოფობაშივე მრავალნი წარჩინებულნი კაცნი მიდიოდნენ ვინდჰორსტის სანახავად. იმპერატორი ვილჰელმი ყოველ-დღე დილით და საღამოთი ჰგზავნიდა თავის ადიუტანტს ავადმყოფის ამბის შესატყობად. ვინდჰორსტი ორშაბათს რეიხსტაგის კრებაზე დაესწრო, სამშაბათს ავად გახდა ფილტვების ანთებით და შაბათს სამუდამოდ გამოეთხოვა წუთი-სოფელს. სიკვდილ წინად ცოტაოდნად მოიხედა და მაშინვე მოითხოვა წამიკითხეთ გაზეთებში რეიხსტაგის კრების ანგარიშიო. სწორედ მაშინ გარდაიცვალა ვინდჰორსტი, როცა მისი სურვილი შესრულდა და განათლების მინისტრი ჰესლერი სამსახურიდამ გადადგა. ბისმარკი ამბობდა ვინდჰორსტზე, რომ ეგ არის ჩემი პირველი და საშიში მოწინააღმდეგეო. ვინც პირველად შევიდოდა რეიხსტაგში, პირველად იმას კითხულობდა, სადა ზის შუა-გულ დასის მეთაური ვინდჰორსტიო. დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ ამ პატარა, მაგრამ დიდებულს კაცს, 80 წლის მოხუცებულს, რომელმაც მთელი 20 წელიწადი გაატარა საპოლიტიკო და საპარლამენტო მოღვაწეობაში. თვით ბისმარკსა და იმპერატორს ვილჰელმ მე-II ეს საჭიროდ მიაჩნდათ ანგარიში გაეწიათ მისთვის. ჩამომავლობით ვინდჰორსტი გლეხ-კაცი იყო და, თუმცა დიდი სახელი მოიხვეჭა, მაინც თავის ჩამომავლობას არ ივიწყებდა და დიდად თავ-დაბალი იყო. კათოლიკენი დიდს პატივსა სცემდნენ თავიანთს მეთაურს. მეტადრე გლეხ-კაცობას თავი მოსწონდა „თავის ვინდჰორსტით“. როცა ვინდჰორსტი დაიწყებდა ლაპარაკს რეიხსტაგში, ყველა სმენად გადაიქცეოდა და ეშურებოდა დაეჭირა თავისი ალაგი, რომ მოესმინა იმისი ლაპარაკი. ლაპარაკის დროს ვინდჰორსტს უყვარდა ხუმრობა და ხშირად დაცინვასაც არ ერიდებოდა, მაგრამ ამასთანავე მისი ლაპარაკი სავსე იყო აზრით, საბუთებით. გაათავებდა თუ არა ლაპარაკს, პირველად იმასთან მივიდოდა, რომელსაც უფრო დასცინებდა ხოლმე და ისეთის გულკეთილობით ჩამოართმევდა ხელს, რომ არავინ იმაზე ძვირს გულს არ ჩაიდებდა ხოლმე. იმის ლაპარაკს ხშირად გადაუწყვეტია საგანი რეიხსტაგში ასე თუ ისე. რეიხსტაგშიაც და მის გარეშეც მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმისი სიცოცხლე ძვირფასი იყო, იმიტომ რომ ყმაწვილობიდამვე სიბერემდე მთელი თავისი დრო განუწყვეტელს მუშაობაში გაატარა. სიკვდილიც მაშინ ეწვია, როცა მუშაობაში იყო. დიდი დასაკარგი დაჰკარგა რეიხსტაგმაო, სთქვა ვინდჰორსტის შესახებ რეიხსტაგის პრეზიდენტმა.

◆◆

## დეპეშა

9 მარტი

პეტერბურგი. რამდენისამე ერობის შუამდგომლობის გამო, შეამუშავეს პროექტი საპედაგოგიო მუზეუმის ნორმალურ წესდებისა. ამ მუზეუმის გამართვის ნება-რთვა ვისმე მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუზეუმის არსებობა უზრუნველ-ყოფილი იქნება და მათ მმართველსაც განსაკუთრებულნი საბჭონი იკისრებენ.

ორიოლი. 4 მარტის ტირაჟში 200,000 მანათიანი მოგება ჰხვდა მცენსკის საპატიმროს ზედამხედველს ნიკიტსკის.

პარიჟი. პროკურორმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ მამულიშვილთა ლიგა ნამდვილად არსებობს, თუმცა მთავრობის მიერ უკვე გაუქმებულია. დღეს საღამოზედ დანიშნულია გამოძიება, რომლის გამოც შეიძლება საჭიროდ დაინახონ რამდენისამე კაცის დაპატიმრება.

პარიჟი. მამულიშვილთა ლიგის წევრებს სახლები გაუჩხრიკეს და ფრიად შესანიშნავი ქაღალდები უპოვნეს. არავინ დაუპატიმრებიათ

10 მარტი

პეტერბურგი. ამხანაგთა სადილზე პოროჩიკმა მაშკოვმა სთქვა, რომ მაისის დამდეგს იმის ექსპედიცია იქნება ანოპოფოს, რომელიც მენელიკის რეზიდენცია არის, და უკვე სამს წელს გასტანს. თითონ აბაშეთში, ექსპედიციას იმედი აქვს, გულმხურვალედ შეხვდებიან მაგრამ გზაში, შეიძლება, რამე დაბრკოლება შეხვდეს ამას გარდა ექსპედიციას, საფიქრებელია, აშინოვთან მოუხდეს შეტაკება, თუ იმანაც აბაშეთში გამგზავრება განიზრახა.

ᲝᲓᲔᲡᲡᲐ. დღეს სამხედრო ხომალდით „Орелъ"-ით გაემგზავრნენ ციმბირის რკინის გზის გამკეთებელნი.

ᲕᲔᲜᲐ. „Armee Verordnungs-blatt"-ი იუწყება, რომ პოლკოვნიკი ულანთა მე-11 პოლკისა დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე იმპერატორმა მე-63 ქვეითი პოლკის უფროსად დანიშნა.

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ. დღეს პრეზიდენტმა კარნომ შუა დღეს შემდეგ დაათვალიერა ზუალპოს პონორამა, რომელშიაც ჩასმულია ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის სურათი. პრეზიდენტმა გულ-მხურვალედ მიულოცა ზუალსოს და სთქვა, რომ ეს ნაწარმოები კვლავ დაუმტკიცებს რუსეთს, თუ რა თანაგრძნობით ვეპყრობით საფრანგეთში.

## 11 მარტი

ᲚᲔᲑᲔᲓᲘᲜᲘ. აქაურისა და დანკოვის ელევატორების აშენება დასრულდა და გუშინ დაიწყეს პურის მიღება, უცხო ქვეყნელის გარდა.

ᲐᲡᲮᲐᲑᲐᲓᲘ. აქ მოვიდნენ საფრანგეთის მეცნიერნი დუტროილი და გრენარი, რომელნიც საფრანგეთის განათლების სამინისტროსაგან არიან გამოგზავნილნი უაშგარის მხარის შესასწავლად.

ᲠᲝᲛᲘ. სადიპლომატო ურთი-ერთობა იტალიისა და აბაშეთის მეფის მენელიკს შუა შესწყდა იმიტომ, რომ ვერ მორიგდნენ ერთმანეთში იმ ხელ-შეკრულობის შესახებ, რომელიც 1889 წელს იყო დადგენილი იტალიისა და აბაშეთს შორის. ელჩი იტალიისა, გრაფი ანტონელი გავიდა აბაშეთიდამ.

მეორე შინაგან სესხის მომგებ ბილეთების მე-50 ტირაჟში ხუთას მანათიანი მოგება ხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 143 | 14 | 16083 | 31 | 13028 |
| 1 | 1277 | 14 | 17842 | 32 | 6011 |
| 1 | 4031 | 15 | 13620 | 32 | 8021 |
| 1 | 5331 | 15 | 15963 | 32 | 9657 |
| 1 | 7503 | 16 | 15357 | 32 | 14411 |
| 1 | 11794 | 16 | 15950 | 33 | 5339 |
| 1 | 15127 | 16 | 16709 | 33 | 6281 |
| 1 | 15708 | 16 | 17131 | 33 | 8742 |
| 1 | 16114 | 17 | 596 | 33 | 12680 |
| 1 | 17152 | 17 | 1070 | 33 | 14867 |
| 2 | 4454 | 17 | 9669 | 33 | 17121 |
| 2 | 7466 | 17 | 11495 | 33 | 19325 |
| 2 | 8878 | 17 | 14368 | 34 | 7715 |
| 3 | 2875 | 17 | 15620 | 34 | 8557 |
| 3 | 4443 | 17 | 17097 | 34 | 16073 |
| 3 | 4495 | 17 | 17543 | 34 | 19473 |
| 3 | 12448 | 17 | 18937 | 35 | 421 |
| 3 | 18375 | 17 | 19484 | 35 | 15574 |
| 4 | 3591 | 18 | 429 | 35 | 19325 |
| 4 | 3877 | 18 | 2140 | 35 | 19329 |
| 4 | 12676 | 18 | 11792 | 36 | 99 |
| 4 | 14384 | 18 | 15180 | 36 | 1665 |
| 4 | 15199 | 19 | 1992 | 36 | 4780 |
| 4 | 18845 | 19 | 12081 | 36 | 5931 |
| 4 | 19301 | 19 | 15952 | 36 | 6351 |
| 5 | 2724 | 19 | 19715 | 36 | 6530 |
| 5 | 3834 | 20 | 4728 | 36 | 12136 |
| 5 | 4864 | 20 | 9237 | 37 | 98 |
| 5 | 5712 | 20 | 14629 | 37 | 2644 |
| 5 | 8766 | 20 | 18988 | 37 | 19933 |
| 5 | 9185 | 21 | 836 | 38 | 5178 |
| 5 | 12391 | 21 | 3351 | 38 | 11237 |
| 6 | 14643 | 21 | 6375 | 38 | 19633 |
| 6 | 16319 | 21 | 11359 | 39 | 8138 |
| 6 | 16661 | 21 | 15694 | 39 | 9777 |
| 7 | 3634 | 21 | 15939 | 39 | 12749 |
| 7 | 3819 | 21 | 17749 | 39 | 15486 |
| 7 | 7707 | 21 | 18906 | 39 | 15508 |
| 7 | 9784 | 22 | 3830 | 39 | 16613 |
| 7 | 13725 | 22 | 7779 | 39 | 16681 |
| 7 | 14941 | 22 | 10917 | 40 | 12804 |
| 7 | 19489 | 22 | 15395 | 40 | 15325 |
| 8 | 570 | 23 | 1992 | 40 | 18009 |
| 8 | 4029 | 23 | 5643 | 40 | 18610 |
| 8 | 7694 | 23 | 6693 | 40 | 19148 |
| 8 | 9937 | 23 | 8283 | 41 | 408 |
| 8 | 12068 | 23 | 10130 | 42 | 7966 |
| 8 | 14768 | 23 | 10158 | 42 | 13801 |
| 8 | 14917 | 23 | 18129 | 42 | 17192 |
| 8 | 14988 | 24 | 2544 | 43 | 8948 |
| 9 | 91 | 24 | 5002 | 43 | 15350 |
| 9 | 15032 | 24 | 11819 | 44 | 2723 |
| 9 | 15641 | 24 | 12462 | 44 | 3556 |
| 9 | 17545 | 24 | 14469 | 44 | 4365 |
| 9 | 17626 | 24 | 14942 | 44 | 6177 |
| 10 | 1720 | 24 | 19984 | 44 | 8205 |
| 10 | 3394 | 25 | 767 | 44 | 11769 |
| 10 | 5314 | 25 | 1554 | 44 | 18990 |
| 10 | 6049 | 25 | 6796 | 45 | 234 |
| 10 | 10417 | 25 | 19505 | 45 | 6622 |
| 11 | 1930 | 26 | 2388 | 46 | 3719 |
| 11 | 2488 | 26 | 5468 | 46 | 10513 |
| 11 | 3304 | 26 | 11668 | 46 | 11484 |
| 11 | 12324 | 26 | 14282 | 46 | 13619 |
| 11 | 14377 | 26 | 15355 | 47 | 176 |
| 12 | 9410 | 27 | 1753 | 47 | 623 |
| 12 | 9503 | 27 | 5505 | 47 | 9575 |
| 12 | 9520 | 27 | 6411 | 47 | 14063 |
| 12 | 1068 | 27 | 7271 | 47 | 16961 |
| 12 | 1153 | 27 | 10576 | 48 | 625 |
| 12 | 14456 | 27 | 11074 | 48 | 5716 |
| 12 | 16767 | 27 | 12610 | 48 | 8962 |
| 12 | 19414 | 28 | 1670 | 48 | 13281 |
| 12 | 19957 | 28 | 3885 | 48 | 16523 |
| 13 | 8444 | 28 | 10480 | 48 | 19121 |
| 13 | 10990 | 28 | 13158 | 49 | 1962 |
| 13 | 12518 | 28 | 19388 | 49 | 2419 |
| 13 | 14816 | 29 | 1114 | 49 | 3362 |
| 13 | 18517 | 29 | 1879 | 49 | 12374 |
| 14 | 3579 | 29 | 11917 | 49 | 16941 |
| 14 | 5251 | 29 | 14235 | 49 | 18049 |
| 14 | 6120 | 29 | 17194 | 49 | 19695 |
| 14 | 6664 | 30 | 3834 | 50 | 502 |
| 14 | 7117 | 30 | 14167 | 50 | 15882 |
| 14 | 10635 | 31 | 342 | 50 | 16104 |
| 14 | 12646 | 31 | 558 | 50 | 18028 |
| 14 | 13091 | 31 | 638 | | |

ნომრები იმ სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგო და გაბათილდა:

15813, 11717, 9273, 6450, 13403, 5052, 661, 13897, 420, 11511, 3665, 1409, 18859, 17581, 17618, 6280, 6017, 3369, 8313, 8331, 11285, 19432, 4603, 2644, 1483, 756, 4368, 19969, 13813, 13668, 15874, 12843, 18879, 11940, 9375, 7053, 18,635, 10,090, 13361, 10426, 19111, 16845, 6668, 2838, 12133, 17420, 19483, 14135, 12007, 17787, 2900, 10685, 15619, 18766, 9552, 15313, 3598, 11879, 16110, 8053, 17095, 12772, 17287, 5712, 15879, 6029, 12984, 3109, 13832, 3205, 15316, 5753, 8445, 10341, 15559, 12933, 8575, 10879, 15709, 17050, 1803, 4894, 18498, 6813, 2472, 6145, 7976, 14907, 11674, 9913, 10440, 13894, 14737, 4057.

პეტერბურგის ბირჟა, 8 მარტი.

| | მყიდველები | გამყიდველები | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 77 | 6 79 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 135½ | 136 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 06 | 1 07 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 237 |
| —მეორისა | — „ | — „ | 222½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | — „ | — „ | 216¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 202½ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 202½ |
| ტფილისის საურთიერთო ხდობის საზოგადოებისა | — „ | 99 „ | — „ |

### ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲚᲕᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი [illegible]

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადმოწყვეტილს გადაზე გემები.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

**Huste-Nicht**

Gerichtl. geschützt

### „ᲜᲣ ᲐᲮᲕᲔᲚᲔᲑ"

თაფლ-ბალახიანი მალც ექსტრაქტი და კამფეტები

ლ. გ. ᲙᲘᲢᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲑᲠᲔᲡᲚᲐᲕᲚᲨ.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰქონდს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

ვ. ადურიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—15)

ეს განცხადება დაბეჭდილია ძმართვლობის ძალით მე-191 №-ში.

### Ა. ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ყიდულობს ყველა ნაირს მველებურს

ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲡ

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიანთ ძველებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრეშუმის მაფეუდლობით კერვა ფარჩაზედ: ბაფთებისა, სუზნებისა, თასჩის ფარდაგისა, და სხვა. უმორჩილესად გთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

### ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ᲒᲝᲠᲙᲘᲚᲘ

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

Ა. Ი. ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში"

## ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲐᲮᲘ

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

ᲐᲙᲐᲙᲘᲡᲐ

ფასი 50 კაპ.


სᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღლიაშვილის მიერ წიგნი I. „ 30
2) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . „ 75
3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile"-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . „ 80
4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . 1 25
5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა" ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . „ 15
6) „სურამის ციხე" გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . „ 25
7) „მარაბდა" პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . „ 20
8) „წყალობა" პოემა მისივე . . . . . . . . „ 20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა" ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა" გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . „ 40
10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . „ 30
11) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . . „ 15
12) „სამი ისტორიული ხრონიკა" ექვ. თაყაიშვილისა . . 1 „
13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . „ 50
14) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . „ 50
15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა" შარაბიძისა. . „ 60
16) „დემეტრეს სახლობა" მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. „ 15
17) „თამარ ბატონიშვილი" ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. 1 „
18) „Руско-грузинскій словарь" вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . 3 50
19) „არჩილიანი" გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . „ 75
20) „მიბაძვა ქრისტესი" თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . „ 80
21) იგივე უყდო . . . . . . . . . . . „ 60
22) „მიბაძვა ქრისტესი" წიგნი I და II ყდით . . . . „ 70
23) „შვილის აღზრდა" პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა „ 20
24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა" გ. იოსელიანისა . . „ 20
25) „ძველის დიდება" მეფე გიორგი ბრწყინვალესი" ნ. ურბნელისა „ 25
26) „ივანანამ რა ჰქმნა" მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . „ 10
27) „კიკოლას ნაამბობი" ისტ. პოემა აკაკისა . . . . „ 20
28) „ბორკილი" დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . „ 40
29) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . „ 5
30) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . „ 5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

*Тифлисъ*. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества"

Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Тифлисъ, Дов. цен. 11-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.